

**შპს „კოლეჯი ხვალისდელი წარმატებისათვის“-ის
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი**

შპს „კოლეჯი ხვალისდელი წარმატებისათვის“ -ის (შემდგომში – კოლეჯი) ექთანი წარმართვს სამედიცინო საქმიანობას. თავის საქმიანობაში ის ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების, კოლეჯის შინაგანაწესით და ამ დებულებით. ექთანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი. ექთანი მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს და აკონტროლებს კოლეჯის წინაშე სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას; ექთანი ხელმძღვანელობს კოლეჯის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას; აკონტროლებს და ამოწმებს აუდიტორიებს, დერეფნებს, ტუალეტებს და ინფორმაციას აწვდის დირექტორს; ექთანი თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის. ის ვალდებულია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად კოლეჯის ექთანი ახორციელებს სამედიცინო დახმარებას როგორც კოლეჯის პროფესიულ სტუდენტების, ასევე თანამშრომლებისა და მასწავლებლებისათვის;

ბ) საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს როგორც სტუდენტებს, ასევე კოლეჯის მომსახურე პერსონალს; ხოლო მისი ქმედუნარობის შემთხვევაში აცნობოს ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს, დარეკოს 112-ში სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად და უზრუნველყოს პაციენტის გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში;

გ) მზადყოფნაში ჰქონდეს სამედიცინო კუთხე;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, აღრიცხოს და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს ჯანმრთელობის პრობლემის მქონე შსსმ პირების სტუდენტები ; იზრუნოს კოლეჯის სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

კოლეჯში მოქმედ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.